

პროექტის აღწერა და მიზნები:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევროპანკი) იხილავს 80 მილიონი აშშ დოლარით (57 მილიონი ევრო) სს „დარიალი ენერჯის“ (შემდეგში „მსესხებელი“) დაკრედიტების საკითხს შემდეგი მიზნობრივობით: დარიალი ჰეს-ის პროექტის განვითარების დაფინანსება, მშენებლობა და ექსპლუატაცია; ჰიდროელექტროსადგურის განთავსდება მდინარე თერგზე საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში (შემდეგში „პროექტი“). დარიალის ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 108 მეგავატი იქნება, ხოლო ელექტრო ენერჯის გამომუშავება 50% უზრუნველყოფის შემთხვევაში (P50) შეადგენს 510 გიგავატ/სთს (54% ნაგულისხმევი დატვირთვით).

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი:

პროექტის ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი სავარაუდოდ წარმოიქმნება საქართველოს ელექტროენერჯის გენერაციის ბაზარზე სადაც სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული გენერაციის ობიექტები შედაგენს ელექტროენერჯის მოხმარების 45%-ს ახალი კერძო კომპანიის შესვლით. აღნიშნული პროექტი საქართველოში ელ. ენერჯის წარმოების სფეროში პირველი პროექტი იქნება შეზღუდული მოთხოვნის დაფინანსების საფუძველზე (limited recourse financing) და A/B კრედიტის სინდიცირების სტრუქტურის შესაბამისად, შეძლებს ახალი დაფინანსების მეთოდების შემოტანას ბაზარზე სხვა პროექტის დეველოპერებისთვის. დღემდე კერძო სექტორის გენერაციის პროექტები ეფუძნებოდა სპონსორებისაგან შეუზღუდავ დახმარებას, მაგალითად პროექტის დანახარჯების გაზრდის მოთხოვნის დაფინანსების უფლება ან ვალის დაფარვას მოთხოვნის უფლება რასაც უზრუნველყოფს კორპორატიული გარანტია. ამ პროექტს აქვს პოტენციური გახდეს პირველი ენერჯო პროექტი საქართველოში რომელიც უზრუნველყოფს ნახშირბადის გამოყოფის

	<p>ნეიტრალური დონით მშენებლობისას. ეს პროექტი მოიცავს ტყის საფარის აღდგენის კომპონენტს, რომლის მიზანი იქნება სასიცოცხლო ციკლის მანძილზე (მშენებლობა და ეპლუტაცია) პროექტთან დაკავშირებული ყველა სითბური გაზის ემისიის სრული კომპენსაცია, მცენარეულ საფარში ნახშირბადის დაჭერის საშუალებით.</p>
კლიენტი:	<p>სს „დარიალი ენერჯი“ არის საქართველოში დარეგისტრირებული საწარმო, რომელიც მიზნად ისახავს „დარიალი ჰეს“-ის აგებას. სს „დარიალი ენერჯის“ მფლობელები არიან შპს „ფერი“ (31%), რობინს ქომფანი (23%), სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი (23%) და შპს „ენერჯია“ (23%).</p>
ევრობანკის დაფინანსება:	<p>ევრობანკი უზრუნველყოფს მსესხებლისთვის პირველი რიგის A/B კრედიტს 80 მილიონი აშშ დოლარის ოდენებით (57 მილიონი ევრო).</p>
პროექტის ღირებულება:	<p>123 მილიონი აშშ დოლარი (92 მილიონი ევრო).</p>
გარემოსდაცვითი ეფექტი	<p>ევრობანკის 2008 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიხედვით პროექტს მინიჭებული აქვს A კატეგორია. ეს კატეგორიზაცია საქართველოში ეფუძნება ძირითადად შემოთავაზებული პროექტის კონკრეტულ მდებარეობას და ჰიდროელექტროსადგურის განვითარების სენსიტიურობას და არა კაშხლის სიმაღლეს ან სხვა კრიტერიუმს.</p> <p>სპონსორმა მოამზადა და წარმოადგინა საჯარო განხილვისა და შენიშვნებისთვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პაკეტი, რომელიც მოიცავს: გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც მომზადდა საჯარო განხილვისა და ნებართვის მიზნით კომპეტენტური ორგანოებისთვის წარსადგენად; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ხმელეთისა და წყლის</p>

---

ბიომრავალფერონების დამატებითი შესწავლა; დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმა; არატექნიკური რეზიუმე, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმას.

გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება განხორციელდა საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალურ კონსულტანტთა დამოუკიდებელი კომპანიის მიერ, ბანკის დავალებით. შეფასება მოიცავდა დოკუმენტების დეტალურ შემოწმებას, პროექტის ობიექტზე ვიზიტს და სპონსორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და შესაბამის სამინისტროებთან ინტერვიუს. გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაში ხაზგასმული არის წყლის და ხმელეთის გარემოზე პროექტის ზემოქმედების კუთხით დამატებითი კვლევების ჩატარების აუცილებლობა, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული კვლევები, რომლებიც მოიცავენ რეკომენდაციებს ადაპტირებული მართვის გეგმის განვითარებასა და განხორციელებისათვის, ამჟამად დასრულებულია და შეტანილია გამოქვეყნებულ პაკეტში.

წყლის გარემოზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა „კონსტრუირების ბლოკის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად და გაკეთდა ამ პროექტის, ევროკავშირის და ნებისმიერი სხვა ქვეყნის მსგავსი პროექტების პირდაპირი შედარება. ზემოქმედების შეფასების შედეგად მიღებული ადაპტირებული მართვის გეგმა განხორციელდება სპონსორის მიერ. ეს არის ვალდებულება, რომელიც წარმოიშვა გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმიდან .

გარდა ამისა, სპონსორი ამჟამად ათანხმებს ამ ტერიტორიაზე ტყის საფარის აღდგენის პროგრამას შესაბამის ორგანოებთან, რომელსაც აქვს ნახშირბადის ნეიტრალურ დონეზე გამოყოფის პირველი პროექტის

---

---

პოტენციური საქართველოში და ევრობანკისთვის ყველა რეგიონში. პროექტის სხვა სარგებელი მოიცავს: არაოფიციალური ნაგავსაყრელის ლიკვიდაციას მდინარის ნაპირებიდან, მუნიციპალიტეტისათვის დახმარების გაწევას შესაფერისი ალტერნატიული საინჟინრო ნაგებობის უზრუნველყოფით. ეს გააუმჯობესებს ნიადაგის, ზედაპირისა და გრუნტის წყლების ხარისხს, მაცხოვრებლების უსაფრთხოებას, ნარჩენების მართვის პრაქტიკას და მდინარის ხეობის ვიზუალურ მხარეს. სპონსორი ასევე თანახმაა შეზღუდოს და შეარბილოს ნებისმიერ ვიზუალური ზემოქმედება მდინარის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობაზე.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პაკეტი ამჟამად გამოქვეყნებულია, გამოქვეყნების პერიოდშიც და შემდეგაც ყველა კომენტარი იქნება განხილული. ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად განისაზღვრა, რომ აღნიშნული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში აკმაყოფილებს ევრობანკის საექსპლუატაციო მოთხოვნებს. სპონსორსა და ევრობანკს შორის შეთანხმებული გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა მოიცავს მთავარ ღონისძიებებს, რომლის განხორციელებასაც ეთანხმება სპონსორი ბანკის სამოქმედო მოთხოვნების შესრულების მიზნით, როგორც პროექტის მშენებლობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე.

პროექტს მონიტორინგს გაუწევს ევრობანკი გარემოსდაცვითი და სოციალურ სამოქმედო გეგმით, მარეგულირებელი ნორმებისა და სამოქმედო მოთხოვნების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

ამ პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ ინფორმაცია იხილეთ:

---

	<a href="http://www.ebrd.com/pages/project/eia/45542.shtml">http://www.ebrd.com/pages/project/eia/45542.shtml</a>
ტექნიკური თანამშრომლობა	არ არის.
კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია	ზურაბ ალავიძე გენერალური დირექტორი +99532 2510 500 <a href="mailto:z.alavidze@darialienergy.ge">z.alavidze@darialienergy.ge</a>
ბიზნეს შესაძლებლობები :	ბიზნესის შესაძლებლობებსა ან შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაუვაშირდით კლიენტის კომპანიას
ზოგადი ინფორმაცია:	შესყიდვების საკითხების გარდა პროექტთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ევრობანკში: ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380 Email: <a href="mailto:projectenquiries@ebrd.com">projectenquiries@ebrd.com</a>
პოლიტიკა ინფორმაციის საჯაროობის შესახებ (PIP)	ინფორმაციის საჯაროობის შესახებ შემუშავებულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის საჯაროობისა და აქციონერებთან კონსულტაციების მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება უკეთესი საზოგადოებრივი შედეგებისა და მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის გაცნობისათვის. პოლიტიკის ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იხილეთ: <a href="http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm">http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm</a>
პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)	ცალკეული პირების ან ხალხთა ჯგუფის მიერ, ასევე ორგანიზაციების მიერ ევრობანკის დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად ევრობანკმა შეიმუშავა პროექტის გასაჩივრების მექანიზმი. ეს მექანიზმი მოქმედებს როდესაც არსებობს ვარაუდი დამდგარი ან შესაძლო ზიანის

---

შესახებ. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის განმსაზღვრელი წესებისა და პროცედურების გასაცნობად იხილეთ შემდეგი ბმული:

<http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf> , რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ

ბმულზე:

<http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf>

პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ნებისმიერი საჩივარი წარმოდგენილი უნდა იქნეს ევრობანკის მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პასუხისმგებელ პირს ([pcm@ebrd.com](mailto:pcm@ebrd.com)) ან დახმარებისათვის მიმართეთ ევრობანკის ადგილობრივ წარმომადგენლობას თუ გსურთ გაიგოთ კონკრეტულად რა ვადებშია შესაძლებელი საჩივრის წარმოდგენა.

---